საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 45 27/08/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის, „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის N 112 დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-13 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა;**

1. დამტკიცდეს „ბაღდათის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმა“ თანდართული დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N 11, ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში;

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე